# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 201

1 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრორაიონში, კორპუს №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 მაისის №21.615.706 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 5-ში, მე-9 სართულზე, შენობა №5-ში მდებარე 64.43 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.006.05.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე დავით ღვანიძისთვის (პ/ნ. 01025007400) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე